

საბავშვო
სამაგირო
სამუშაო

საბავშვო
სამაგირო
სამუშაო



№ 18

თბილისი საქმეობარი

1960

საბავშვო

გამოცემის XXXVIII წელი, ფასი 2 ზან.

ბორჯომის საკურორტო სამმართველომ (დირექტორი ვ. ხუციშვილი) ბორჯომის სახელობის მინერალური წყლების პარკში, ყოველგვარი გეგმის გარეშე, ჩატარა „დეკორატიული გაფორმება“, რისთვისაც იოკრა და გადაბელა 93 ძირი ასწლოვანი ხე.

კურორტების დეკორატიული გაფორმების ბორჯომული ნიმუში.

— მაწონი-ი-ი-ი... მაწონი-ი-ი-ი... — ბინდბუნდში გაისმის გამყვანი ხმა და ჩვენი ეზოს მცხოვრებნი ძალაუნებურად ემშვიდობებიან დილის ტკბილ ძილს.

დღეს კვირაა. მინდა ცოტა დავისვენო. ამიტომ ჯიუტად ვბრუნავ ლოგინში, პაპანაქება სიცხეში საბანს თავზე ვიხურავ, რომ გამოვეთიშო ეზოში გამართულ სერენადას, მაგრამ ამაოდ. მყუდროება დარღვეულია. უფასო «მალეძარა საათმა» უკვე შეასრულა თავისი მოვალეობა, სისხამ დილით წამოშალა მთელი ეზო. ახლა ჩემს სახლშიაც არანაკლები ხმაურობაა. მთელი ჯალაბობა ფეხზე დგას. პატარა გოგონა საბანს ექაჩება და ჩამძახის: — მამიკო, ადექი, მაწვნის ძია მოვიდა და ყვირის: — მაწონი-ი-ი, მალაკო, მაწონი-ი-ი...

საბოლოოდ ვრწმუნდები, რომ უკვე შეუძლებელია ძილის გაგრძელება, რადგან პირველ «მერცხალს» სხვებიც მოპყვნენ და ეზოში ისეთი კაკაფონია გაიმართა, რომ ყურთასმენა აღარ არის. — მალაკო... იაიცა... — მთელი ხმით გაპყვირის ერთი. — კარტოშკა... კარტოშკა-ა-ა-ა... — ბანს აძლევს მეორე. — ყვავილების მიწა-ა-ა!... — ხმას აყოლებს მესამე.

— მრავალძარღვა... მრავალძარღვა-ა-ა... — მოისმის შორიდან არც თუ ცუდი ვოკალური მონაცემების მქონე ახალგაზრდის ტენორი და მასაც თავისი წვლილი შეაქვს ეზოში გამართულ მრავალხმიან სიმღერების კონცერტში.

დაბლა სართულზე ვიღაც ყვირის. ჩანს, მისმა ნერვებმა ვეღარ გაუძლო ხმაურით გაღიზიანების ასეთ გამოცდას და მოძრავი ბაზრის დახლის მუშაკების მისამართით წარმოთქმული მისი «ლოცვა-კურთხევა» ყველა სართულზე ისმის უნაკლოდ.

მოსიარულე ბაზარს მუშტრებიც ყავს. აგერ, მეოთხე სართულის ფანჯრიდან ვიღაც მკერდგადაღელილი ახალგაზრდა ნაბახუსევი ხმით ჩასძახის დაბლა: — ამოიტა, ბიჭო, მაწონი! ძვე-

ლი არ იყოს, თორემ სათითაოდ დაგაფშვნი ქილებს თავზე. მეტი მოხერხებულობა გამოუჩენია მის მეზობელ დიასახლისს: თოკზე კალათა გამოუბამს და ტქქნიკის უკანასკნელი სიტყვით მოწყობილ ამ ახალი საბაგირო გზით ამყარებს სავაჭრო ურთიერთობას ეზოში გამართულ ბაზართან.

ყოველ დილით ასეთი «სპექტაკლი» იმართება ჩვენს ეზოში. მე კი მხოლოდ ის ბედნიერება მაქვს, რომ სამუშაო დღეებში სამსახურში მივდივარ და ბოლომდე არ მიხდება ამ წარმოდგენის ნახვა.

იყო დრო, როდესაც ქუჩის მხრიდან შემოჭრილი ხმაურობა ურღვევდა დილის მყუდროებას ჩვენი სახლის ბინადრებს. მაშინ ავტომანქანების სიგნალების გაბმული ხმა ასრულებდა «მალეძარა საათის» მოვალეობას. ახლა ქალაქში აკრძალულია ხმოვანი სიგნალების მიცემა და ქუჩის მხრივ მოსვენებულია ჩვენი სახლის მცხოვრებნი. სამაგიეროდ ფსიქიური იერიში ამჟამად ეზოს მხრიდან წარმოებს. კაცმა რომ თქვას, რომელი ავტომანქანის ხმოვანი სიგნალი შეედრება ზოგიერთი ახმახის ხმას. მით უმეტეს, როდესაც ის ცდილობს მაქსიმალურად გამოიყენოს თავისი ვოკალური მონაცემები, რომ დაფაროს სხვა გამყიდველების ხმა.

ვფიქრობ, დრო არის დაისვას საკითხი და სათანადო ყურადღება მიექცეს მოსიარულე ბაზრის არსებობის საკითხს. გაირკვეს, თუ ვინ არის ის ხალხი, რომელიც თავს არიდებს საკოლმეურნეო ბაზარს და ცდილობს ყოველი სახლის ეზო საკუთარ ბაზრად გადააქციოს. საჭიროა ისეთი ღონისძიება, რომელიც არა მარტო ჩვენს ეზოს, არამედ საერთოდ ყველა ეზოს გაანთავისუფლებს დილის სერენადის სავალდებულო მოსმენისაგან.

6. ნუჰრიძე

ნაბ. გ. ლომიძისა



გ. ლომიძისა

— რაც კოსმოსიდან დაბრუნდნენ ბელკა და სტრელკა, ისე ინაზებიან, ძალდაც არ გვაგდებენ!

მადლობა

სანატორიუმში უკმაყოფილო დამსვენებლები საგზურის დამთავრებამდე 10-12 დღით ადრე თხოულობდნენ ბინაზე დაბრუნებას. დირექტორი კი არ უშვებდა მათ იმის შიშით, რომ წაგლენ და მიჩივლებენო. დამსვენებლები თავისას არ იშლიდნენ.

მაშინ დირექტორმა ჭკვიანურ ხერხს მიმართა: შთაბეჭდილებების წიგნი ამოიღო და მოითხოვა, თუ წიგნში მადლობას ჩაწერდნენ, მათი თხოვნა დაკმაყოფილებული იქნებოდა. დამსვენებლები დათანხმდნენ.

როდესაც დირექტორმა წიგნი გადაშალა, ყოველი დამსვენებლის «მადლობა» ასე გამოიყურებოდა:

«ვისვენებდი სანატორიუმში. მადლობას ვუხდი დირექტორს, რომ ათი დღით ადრე გამიშვა».

დოდო ზუჯა

ერთ სოფალში

- როდის გათხოვდი, მელანო?
- რავი, მას შემდეგ ბარე შვიდი ღორი დაკვალით.
- ერთ წელიწადს რომ ორი დაკვალით?
- უი, მართლა!

8. კაზაროვი

სხლა, როდესაც კახეთში აჩუხიხუხებულ მაჭრებს აურზაური აქვთ ატენილი, როცა საერთოვე ვენახის ბოლოებზე სატიკე თხები თავდაყირა ჰკიდრა, როცა შეძლებულ კოლმეურნეებს ყველა პირობა აქვთ შექმნილი დროსტარებისა და ქეფისათვის. ვის არ მოსწყურდება მტყენებით დატვირთულ ხეივანებში გასეირნება. ალაზანივით დინჯი «მრავალქამიერითა» და «ჩაკრულთით» ყურთასმენის დატკობა, ამიტომაც კახეთს ვესტუმრე და თელავის ქუჩებში გავსეირნე. ჯერ ისევ ყურში მიტრიალებდა ჩვენი მასპინძლის ტკბილი სიმღერა:

ჭირიმე შენი, კახეთო,
დიდო ალაზნის ჭალო...

ხმალო, ხევსურეთ ნაჭედო,
თელავში თუშმა გაგფერა,
გაკურთხა მეფე ერეკლემ,
საომრად ჯვარი დაგწერა.

ავგრ, ახლოს, ცივგომბორზე ჩამოდინილი ღრუბლები, დასავლეთით თოვლისგან ძლივს გაწთავიძს სუფლებული ხავერდოვანი კავკასიონის მთის წვერები, ნადიკვარი და ერეკლეს სასახლე, კახეთი მშვენიერი და კახეთი საყვარელი; ჩემს ოცნებაში გაცოცხლდნენ ძველი მომღერლები: დედას ლევანა და აღნიაშვილი. ჯიდაური და ამოხაშვილი... რა შეედრება მათ სიმღერას.

თავისუფლების მოედნის ახლად გამართული ტირიდან მხიარული ხმები მოისმოდა. მჭიდროდ შეკრული ახალგაზრდები რაღაცას გაკვირვებული ჩაჰყურებდნენ და მასლათობდნენ: გულმა სამხიარულოსკენ გამიწია, ახლოს მიველი და დაქანგული თოფების გვერდით ძლივს დავიხანხე პატეფონის უსახელო ფირფიტებზე დახრილი შუახნის მამაკაცი—ისაკა დავარაშვილი, რომელიც რადიოლას მუროუმს ნემსს უცვლიდა.

აი ესლა მღერობენ ავღაბრელი ბიჭები დედაზე, ისეთი სიმღერაა, ცოცხალ დედას ვინა ჩივის, მკვდარს გააცოცხლებს.—და მართლაც დატრიალდა ფირფიტა და გაისმა ვიღაცის ჩახლუჩილი ხმა: «სიმღერა დედაზე. ასრულებენ: პირველი ნომერი შოთა, მეორე შოთა, მესამე ტუგოს შემადგენლობით» გაისმა ზურნის ჭყჭტინი და ვიღაცამ გულსაკლავად შემოჰყვირა:

«დედავ, საყვარელო,
ბაგე გივავ მთვარესო,
სულზე ტკბილო ჩემო დედი...
დედი... დედი... სულმუდამქამს მიყვარები,
დედი... დედი... თმაჭადარა ჩემო დედი.»

პირველმა თუ მეორე ნომერმა შოთამ სული მოითქვა, სამაგიეროდ, მგონი, ტუგომ გაბერა ორი-მელოყა და აკვნესდა კლარნეტი.

«დედის ნახვა მენატრება,
ჩემი შვილიც მიყვარება.
თმაჭადარა ტკბილო დედი...
დედი... (გააბა კივილი ვიღაცამ) დედი...
თმაჭადარა ჩემო დედი.
დედი... დედი... სულმუდამქამს მიყვარები.

აკვნესდა ისევ კლარნეტი, პირი გაუხურდა დოლს და გაიჭირვა მედუდუკე...

«სიმღერები დედაზე,
მეჩლიქება ენაზე (სირცხვილმა გამაწითლა),
შენ გიმღერი, ძვირფასო...
დედა ხომ ნატვრის თვალია,
მიტომ მიყვარს ძალიან...
ვიმღეროთ, ვიმღეროთ
მშობელ დედის სიმღერა...»

შეწყდა ლექსური და მუსიკალური აბდაუბდა და მეც შუბლზე ოფლი მოვიწმინდე...

— ასეა მაშ!.. დედაა, სიდედრი არ გეგონოთ...
— დააყველაწმინდავა ისაკამ...

— ახლა სიმღერა მამიკოზე.—ისევ ახრიალდა ფირფიტა და ვიღაცამ ამცნო შეკრებილთ. «ჩემო ჭადარა მამიკო, ასრულებენ: პირველი ნომერი შოთა, მეორე ნომერი შოთა, მესამე ტუგოს შემადგენლობით.»

სიმღერები „ბნელ სურათზე“

«— ჩემო ჭადარა მამიკო
თვალეში გიდგას ნათელი,
შორიდან გეკურკურები,
შვილიც გიმღერის ქართველი...»

გამოღმით მე ვარ, გაღმით—შენ,
შუა ჩამოდის მდინარე,
მდინარეს ხიდი არა აქვს,
ამ სატილო მდინარეს...»

ავსუს, ვაჟას ლექსო, ვის ჩაუვარდი ხელში!
ვიღაც დაბალმა მამაკაცმა, რომლისგანაც ეთილირებული ბენზინის სუნი სცემდა, შეგროვილი ახალგაზრდები გოთურგით მისწი-მოსწია და რადიოლასთან მივიდა.

— ისაკ, აბა ერთი, დღეს რომ თბილისიდან მოფრებზე სიმღერა ჩამოგიტანია, ის შემოდე.

— ეხლავე, ჯივარო, ეხლავე...—ისაკამ ხელი რომელიღაც თახჩაში შეყო და იქიდან შავ ქალღალღში გახვეული ფუთა გამოაძვრინა.

— ეგ რაა, დამალული გქონდა?

— არა, მაგრამ, ხომ იცი, ათასი ოხერია, შეიძლება ამიტყდნენ. ვინ ჩაწერაო?.. საიდან მაიტანეო?.. რათ მაიტანეო?.. ცალგვერდიან პლასტინკას ათ მანეთად რათა ყიდიო?.. ხო იცი, მე ხალხისკენა ვარ და ზოგიერთი კი ეშმაკისკენ. მაშ დაუკრათ, არა?!

— მიდი! მიდი!..

ამიშინდა რადიოლა და უეცრად ისევ ვიღაცის ჩახლუჩილმა ხმამ ამცნო შეკრებილთ: «სიმღერა მოფრებზე. ასრულებენ: ლაბოტა, პატარა მიშიკა და ლამაზ გოგია.» რაღაც ძველი ბაიათის მაგვარმა ხმამ გაჰკვეთა მიდამო და შემდეგ კი ვიღაცამ ნაბახუსევი ჭმით დაამღერა:

«თუ გინდა, რომ დრო ატარო,
ჭამო წუთისოფელი,
საქმროდ უნდა აირჩიო
ხულიგანი შოფერი.
აი... ამან... ამან...»

შოფერმა უთხრა პამოშნიკს,
შენ მელა ხარ, მე ტურა,
დააკარავე პაკრიშკა,
გავაკეთოთ ხალტურა.
აი... ამან... ამან...»

სანადიროდ როცა წავალ,
ან მგელს მოვკლავ, ან ტურას,
მე შოფრები მიტომ მიყვარს,
აკეთებენ ხალტურას.
აი... ამან... ამან...»

— აი სალოლ!

— ვა, მაშ როგორ, კაცო, ფილარმონიაში ხომ არა ვართ, რაღაც არიფულები ვამღეროთ? ამას იცი ვინა მღერობს? ლაგოტა, ესე იგი სომხურად ძაღლის ლეკვი, ორთაჭალაში ერთი არა მღერის იმისთანათ.

— მაშ ოთხი ერთად შემიხვიე.

— ძია ისაკ, ხუთი ტყვია მომწოდე, მინდა თვითმფრინავს ვესროლო.

— თვითმფრინავი არ მუშაობს, ბენზინი არა აქვს.

— მაშინ ლატარიას ვესვრი.

— რა დროს ლატარია და ტირია, ძმისშვილო, ხო უყურებ, ხალხს კულტურულად ვემსახურები. შენი თუმანი იყო, არაა? რომელი? შოფრებზე? აბა ესეც შოფრებზე.

— ძია ისაკ, აქ ტირია თუ ფირფიტების მალაზია?



— ორივე! მაგრამ ახლა ტირისთვის არა მცალიან. ხო უყურებ მუშტარი დაშეცა: გაატარეთ... გაატარეთ... გზა მიეციო...

ამ უხამსობას კარგა ხანია უგდებდა ყურს ერთი ჭადარა კოლმეურნი.

— მეზობელო, «ბერი კაცის» ან «ზამთრის» ფირფიტა ხომ არა გაქვს?

— აბა შენა ყოფილხარ, ძია კაცო, და... რა დროს ზამთარია ამ შუა სიცხეში? თუ გინდა, სტილი სიმღერა წაიღე—შოფრებზე...

— რათ მინდა ეგ სიბილწე, კაცო? გინდა, რომ სახლში ლანძღვითა და გინებით ამიკლონ?..

— აბა ესა ყოფილა და!.. სადაური ხარ, ძია კაცო?

— სადაური ვარ და, წინანდლელო.

— თელავში შარავით გადმოხველ, თუ მოკლეზე გადმოსჭერ?

— მოკლეზე წამოველ, ძმაო, ტყე-ტყე გადმოველ,

— აი, რატომ იმ ტყეში მამალმა მგელმა არ შეგჭამა!

ატყდა უსაქმურთა ხარხარი.

— რაო, მეზობელო, რა მითხარი? რატომ მამალმა მგელმა არ შეგჭამაო? სახლიდან შენოდენა ძაღლი გამომგვა, იქ რა მგელი მომადგებოდა!

ატყდა ისევ სიცოცხლის-ხარხარი, გაჯავრებულმა მოხუცებულმა ხურჯინი მხარზე მოიკიდა და გზას გაუდგა. მეც მეტი ვეღარ მოვითმინე, გარეთ გამოვედი და მოხუცებულს გამოვეკიდე.

— ძია, არ მოგეწონათ იქაური ფირფიტები?

— მომეწონათ? მომეწონა კი არა, სირცხვილითა და ჯავრით აღარა ვარ კაცი; ვიღაც ზაზრის-უბნელი ვირეშმაკა თბილისში რაღაც აბდაუბდას იმღერებს, ვიღაც თალღითი ფირფიტაზე ჩაწერს, ისაკა დავარაშვილისთანავე გაქნილი კონტრაბანდით რომელიმე რაიონში წაიღებს და გაჩაღდება ვაჭრობა უხამსობითა და სიმურტლით. კაცი პატრონი არ არის, რომ ამ ძალათ მომღერლებსა და ბინძურ გამსაღებლებს საკადრისი პასუხი მოსთხოვოს.

ტირიდან კი ისევ მოისმოდა რადიოლას ხმა:

«ტაში კატო, მოკლე კატო,
შე ქალების დედეგატო...»

«თინას ყავდა მამალი, მღერის რომა.»

«თინას ყავდა მამალი,
თინას ცხვირწინ იმღერდა,
ყოველ დილას მამალი


ასე დაიყვილებდა... ყიყილეო!..»

— სირცხვილია, შვილო, სირცხვილი!



როცა ახალ თანამდებობაზე მნიშვნავდნენ, მართალი ვითხრათ, უარის თქმა დავაპირე, მაგრამ ტელეფონებით მორთულ კაბინეტს თურმე სხვაგვარი მიმზიდველობა აქვს და მეც დავთანხმდი. შევეუდექი მუშაობას.

ერთხელ, ეს იყო ზაფხულში, მუშაობის დაწყების მეორე დღეს. ჩემი კაბინეტის კარი გაიღო და შემოვიდა...



მე გადაჭრით მოქმედება ვარჩიე:

— რა გნებავთ?

— არაფერი.

მე მაინც გავიღებე ფეხები, ძალიან უგემური ლიმილი გამომდევდა. ერთხელ მან ითავა გაუგებრობის გაფანტვა: — მე ამ დაწესებულების შიკრიკი ვარ.

მე იგი მივიღე ჩვეულებრივ მთხოვნელად. თავდაბალი უფროსისათვის დამახასიათებელი საქმიანი გამომეტყველება მივიღე და მივაჩერდი. ან ვინ არ მიაჩერდებოდა!... ის კი უხმოდ მივიდა ფანჯარასთან. ყვავილებს დახედა, ღია ფანჯარას სარკის მოვალეობა გააწვინა, გამოტრიალდა, მგონი გამიღიმა (შინდისფერი ტუჩები გახსნა და თვალები დახუჭა), თეთრტილოგადაფარებული სავარძელი ფეხისკერით გაასწორა და დაჯდა ისე, თითქოს იმ ოთახში მამრობითი სქესის წარმომადგენელი არც არსებობდა. ახლაც უნდა ავიწეროთ მისი გარეგნობა: თმები ლუდის ქაფისფერი, იმგვარად ჩამოშლილი, როგორც ერთი საზღვარგარეთულ ფილმში მარინა ვლადის აქვს, თვალები წვრილი, ფართო, შავი თუ კატისფერი, ვერ გაიგებ. რადგან ისეთ ცეცხლსა ჰყრის. ხეირიანად ვერ დააკვირდები. ტუჩები კი ანდამატისა მეგონა. ისე იზიდავს ადამიანს. მაგრამ ისეთ მკაცრ დარაჯებად შემართულა ორი შავი წარბი, უმალ მიგიითითებს — შენს ქერქში დაეტიეო; მეც, რა თქმა უნდა, დავეტიე, ოღონდ თვალი ვერ მოვწყვიტე ღრმად ამოჭრილ გულისპირს, საიდანაც საკმაოდ უჩანდა ის ადგილი. რაზედაც ვაჭა ამბობს: „საამო არის საცქერლადო“... და აი. ასეთი არსება იჯდა ჩემს კაბინეტში, ლიმილით მომჩერებოდა და წიგნით ისე იგრილებდა სახეს, თითქოს ამ წიგნის ერთადერთი დანიშნულება ეს იყო.

დავიბენი. ჯერ საქმეებში ხეირიანად არც ვიყავი გარკვეული და, ახლა ამან ისეთი რამე რომ მთხოვოს... მაგრამ არა. ის მშვიდად ადგა და გავიდა.

ნუ გამამტყუნებთ, რომ საქმეს გული ველარ დავუდე. მოიცათ, ისევ შემოვიდა ჩემი ანგელოსი.

რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონში უღალატო ფაცხარესტორნები ააშენეს. ნ.ბ. დონისა



— ბაბუა, შენ რომ ამბობ, ძველად ფაცხაში ვცხოვრობდითო, მაშინაც რესტორანი იყო შიგ გახსნილი!

„შიკრიკი“? მაშ, ჩემი თანამშრომელი ყოფილა. ხშირად შემოვა ჩემს კაბინეტში, რაღაც ქაღალდებს შემომიტანს, რაღაც საქმეებს გავატან, გავგზავნი მეოთხე სართულზე, სადაც ჩვენი განყოფილების უფროსია. ჩავგზავნი მეორე სართულზე... ერიპა! თუმცა რას ვამბობ, ასეთ ანგელოსს ასე სარბენლად როგორ გავიძებნებდი!

არ ვიცი, თქვენ როგორ მოიტყეოდით, და მე არასოდეს არ შემიწუხებია ჩემი შიკრიკი. ვაგროვებდი საქმეებს და დღის ბოლოს მე თვითონ ვანაწილებდი დანიშნულებისამებრ. ხშირად, უკან დაბრუნებულს, ჩემს სავარძელში დამხვედრია ტელეფონზე მოლაპარაკე და სულ მალე ისე შეეჩვია, რომ ჩემს მაგიერ იძლეოდა ხოლმე განკარგულებებს.

ერთხელ ჩემს სავარძელში დამხვედა წიგნში ისე თავჩარგული, მეგონა სარკე ედო გადაშლილ ფურცელზე. დავაკვირდი. „ვეტერინარია“ — ეწერა ყდაზე. თურმე უმაღლესში გამოცდების ჩასაბარებლად ემზადებოდა და ჩვენთან საკირო ორწლიანი პრაქტიკის მისაღებად მუშაობდა. მართალია, ჩვენს დაწესებულებას „ვეტერინარიასთან“ არაფერი არ ჰქონდა საერთო (თუ მხედველობაში არ მივიღებთ განყოფილების ტლანქ უფროსს). ამ ფაქტმა ისე იმოქმედა ჩემზე, რომ გადავწყვიტე, სულ არ დამეტვირთა საქმეებით და მეცადინეობაში ხელი არ შემეშალა.

„სიყვარული აგვამალვებსო“ უთქვამს რუსთაველს და ამბობდა კიდევ.

საგანგებო მზადების შემდეგ, რასაც წინ უძღვოდა დახვედრითი ოპერაციები, გადავწყვიტე შეტევაზე გადასვლა. სამსახურის შემდეგ სახლში გავაცილე და, როცა მის ქუჩაზე გავიდი, დავიწყე.

პროფკავშირათ, ყმაწვილხალში დღეს 18 მანეთი დავტოვე. მაშ რა იქნებოდას თქვენ არა მაქვს ხელფასი. ნეტავ 30 რიცხვი მალე მოაქვევთ? — აღვხმ 3% — იანი ობლიგაცია მაქვს და გული რაღაც აგრობს. გუშინ ბიძაჩემმა დამირეკა, სამინისტროში რომ მუშაობს, — რატომ არ გამოვიღო. გუშინწინ დედაჩემი მეჩხუბებოდა, ამდენ ოთახში მართო მომეწყინა რძალი მინდაო.

აქ შეეჩერდი, დავაკვირდი, მინდოდა გამეგო პირველმა იერიშმა რა შედეგი გამოიღო. მან ისე შემომხედა, თითქოს პირველად მხედავდა. მივხვდი, რომ ჩემი ბედი წყდებოდა და შემოღებულ ადგილზე შევდექი. ღრმად ამოვისუნთქე და წელი დავივიწროვე. ასე სუნთქვაშეკრული ველოდი განაჩენს. მაგრამ ყველაფერი ელვის სისწრაფით განვითარდა.

— მერე, თქვენც მოუყვანეთ რძალი. — მირჩია მან.

— შესაფერისი ვერაფერს მინახავს.

— მაინც როგორი?

— თუ თქვენნაირი იქნება...

— მერე?

— მაშინ თავს ბედნიერად ჩავთვლი. — ახლა კი ჩავისუნთქე. მან ქვეშ-ქვეშ ჩაიღინა, თმები ცალ ყბაზე ჩამოიშალა და მომიგო:

— მაშინ ჩათვალეთ თავი ბედნიერად.

იმ წუთში მე მინდოდა მეყვირა, რომ ბედნიერი ვიყავი. მე შემეძლო გადავმტარიყავი მტკვარში და სატრფოს თვალწინ გამეცურა მეორე ნაპირზე...

ცა საწვიმრად ემზადებოდა. მივხვდი, რომ მდგომარეობა კვლავ ხელს მიწყობდა და ვუთხარი:

— ახლა წავალ, კოსტუმს გამოვიცვლი, თქვენც წადით და მშობლებს გადაეცით, რვა საათზე სასიძო გესტუმრებათ-თქო.

ეს იყო პირველი დავალება, რომლის შესასრულებლადაც ჩემი შიკრიკი გავგზავნე.

რ. მამულაშვილი

ყანის მეგობრები

1

— რას ამბობ, გიორგი, რაც ფული აიღე ვახშამში უნდა დახარჯო?

— რას იზამ! მეგობრებს კარს ვერ გამოვუკეტავ.

— მეგობარი! აბა რომელი დაგეხმარა, როცა თავს აკლავდი მაგ გამოგონებას?

— რატომ, შე კაი ქალო? ვანო, ბავლე, დათიკო, განა არ მესმარებოდნენ? არ მამხნევებდნენ?

— ესენი, პო...—მოლბა ტასო.—მოვიწვიოთ ეს სამი კაცი და მორჩა, თორემ, ამდენი ხალხი რად გინდა? ალბათ, სულ ყანწის მეგობრები.

— არაფერია, — დაამშვიდა ცოლი გიორგიმ.—მეორე გამოგონების პრემიას რომ მივიღებ, მთლიანად შენ მოგცემ.

— ეგ რომელი მეორე გამოგონებაა?—გაუკვირდა ტასოს.

— აი, კუთხეში რომ ყუთი დგას, — და გიორგიმ საფარი ახადა—საიდუმლოდ ვინახავდი. აქ ისეთი მანქანაა, რომელსაც ფირზე გადააქვს ადამიანის ჩანაფიქრი. ჩაურთავ ფირს და მოისმენ ადამიანის საიდუმლოებას.

ტასო ჩაფიქრდა. ერთს ხანს უყურა მანქანას. შემდეგ რაღაც აზრმა გაუელვა, გაიღიმა და უთხრა ქმარს:

— მე მომანდე სადილის მოწყობა. შენ ნურაფერზე შეწუხდები.

2

სტუმრების პირველი ჯგუფი ხმაურითა და სიცილით შემოვიდა. აბა მილოცვები! აბა კოცნა! აბა მხიარული შეხვედრა! ტასო პირველად ხედავდა ამ ხალხს, თუ ასე უყვარდათ გიორგი, აქამდე სად იყვნენო, გაიფიქრა და, როცა გიორგი ოთახიდან გავიდა, სტუმრები ყუთთან მიიწვია, საიდუმლო ხმით დაიწყო:

— ბატონებო, ეს ჩემი ქმრის ახალი გამოგონებაა!

და ის, რაც გიორგიმ ხუმრობით უთხრა, ტასომ სერიოზულად უამბო სტუმრებს.

— გნებავთ გამოვცადოთ?— დაუმატა ტასომ.—დღეს გიორგის საყვარელი მეგობრები ხართ მოსული და ყველას ფიქრს მოვისმენთ, თუ რას ფიქრობთ გიორგიზე, ჩემზე და საერთოდ ერთმანეთზე. ვის გნებავთ მოისმინოთ საკუთარი ნაჩუმარი?

სტუმრები შეიშმუშნენ, ერთმანეთს გადახედეს. ამ დროს გიორგიც შემოვიდა.

— ოჰ, გიორგი, დიდი ბოდიში შენთან, — სთქვა ერთმა სტუმარმა. — უნდა წავიდე. სხდომაზე მეჩქარება. მოვედი, რომ შენი ოჯახობისათვის მომელოცნა. ისე კი, უნდა წავიდე! არ გეწყინოს!

— მეც უნდა წავიდე, — სთქვა მეორემაც.—ცოლს ვამგზავრებ აგარაკზე. უნდა მივუსწრო მატარებელს. არ გეწყინოს, თუ ძმა ხარ!

სანამ გიორგი და ტასო ამ ორს ეხვეწებოდნენ დარჩი, დარჩიო, სხვები მოუბოდიშებლად წავიდნენ...

ახალი სტუმრები მოვიდნენ. ტასომ ამათაც გააცნო ახალი გამოგონება.

— ვის გნებავთ პირველად საიდუმლო აზრის გამომკვლავნება? — მიმართა სტუმრებს ტასომ მხიარული ღიმილით.

პირველადო? მეათედაც არავინ ისურვა. ზოგი ბოდიშით წავიდა, ზოგი უბოდიშოდ გაიპარა.

ისევ მოვიდნენ სტუმრები. ისევ იგივე განმეორდა. ბოლოს სამი კაციღა შერჩა გიორგის.

— არ მესმის, ეს რა ამბავია?—უკვირდა გიორგის.—ამდენი ხარჯი წყალში გადავყარე.

— არავითარი ხარჯი, ჩემო გიორგი! — გაიცინა ტასომ!—მე მხოლოდ ჩვენთვის გავაკეთე ჩვეულებრივი სადილი.

— როგორ, რესტორანში შეკვეთილს გადახდა არ უნდა?

— მე არაფერი შემეკვეთია, უპასუხა ტასომ—შენი ახალი გამოგონების იმედი მქონდა. შენი ყანწის მეგობრებისა.

და როცა ტასომ დარჩენილ სამ მეგობარს მანქანის ამბავი მოუთხრო, ყველამ გადაიხარხარა.

როდინი ძორძია



ამერიკული „ლახმარაბა“

— მოდიო, დაგეხმარებით, ამოგიყვანო და მერე შეგეკამო!

571
3/4 60.9

რედაქტორი ნ. შველიძე

სტრედაძციო კოლეგია: აკ. ბელიაშვილი, ნ. დუმბაძე, ს. კლდიაშვილი, ნ. მაღალონი, მ. ქარჩავა, თ. ჭელიძე.


საქ. კვ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нианги“.

რედაქციის მისამართი: რუსთაველის გამზ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის—3-76-69, საერთო განყოფილების—3-10-49

გამომც. № 18. ხელმოწ. დასაბ. 16/IX-1960 წ. ქალ. ზომა 70×108 1/8, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5 პირობით ფორმათა რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. 14. შვ. № 1540, უფ. 03784. ტირ. 40.000

ადენაუერის მთავრობა მხარს უჭერს დასავლეთ გერმანელი
რევანშისტების მოთხოვნას ატომური იარაღით ბუნდესვერის შეი-
არალების შესახებ.



— მოიღეთ მოწყალება, ატომური ბომბი შეაწიეთ რევანშისტებს!

ნახ. გ. ლომიძისა